პროლეტარელნო ყველა ქვეყნისანო, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 სექტემბერი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 221 (15131)

მეცნიერება ხალხის სამსახურში

...კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია საბჭოთა მეცნიერების განვითარება. ფართო ფრონტით გაგზავნილი რა მეცნიერულ გამოკვლევებს, სამეცნიერო-მეცნიერთა მეცადინეობა მოვახმაროთ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრას, განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, დავაჩქაროთ მისი მიღწევების გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

დაე მტკიცდებოდეს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრობა, ვითარდებოდეს თანამშრომლობა!

მიტინგი ბელგრადის ელექტრონული მრეწველობის ქარხანაში

ბელგრადი, 23 სექტემბერი. (საკ. ინფორმ. სამს. კორ.). კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი თავის ქვეყანაში და საზღვარგარეთ იუგოსლავიის გაერთიანება „ელექტრონული ინდუსტრიის“ პროდუქციას. მისი საწარმოები უშვებენ ტელევიზორებსა და რადიომიმღებებს, ავტომატურ სარეცხ მანქანებსა და რენტგენის დანადგარებს, სხვადასხვა ზუსტ აპარატურას.

ერთ-ერთი მისი საწარმოა ბელგრადის ზემუნის რაიონში მდებარე ელექტრონული მრეწველობის ქარხანა. მისი ინჟენერები ახალგაზრდაა, ისევე როგორც ახალგაზრდაა თვით ქარხანა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იშვა.

იუგოსლავიის ელექტრონული მრეწველობის მუშაკებს მჭიდრო კავშირი აქვთ საბჭოთა კოლეგებთან. ბელგრადის ქარხნის მარკას ნახავთ ბევრ ხელსაწყოსა და სხვადასხვა დეტალზე, რომლებსაც საბჭოთა საწარმოები იყენებენ.

დღეს ზემუნის ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა გულთბილად და მხურვალედ მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი. მასთან ერთად საწარმოში მოვიდნენ საბჭოთა ოფიციალური პირები, რომლებიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკებაში.

საბჭოთა სტუმრებს ახლდნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრი ხ. დოლანცი, სხვა იუგოსლავი ამხანაგები.

ქარხნის ტერიტორიაზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს მიესალმა გაერთიანება „ელექტრონული ინდუსტრიის“ გენერალური დირექტორი ვ. იაშიჩი.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა დათვალიერა ქარხნის საამქროები. გულთბილად ესაუბრა მუშებსა და სპეციალისტებს, გამოკითხა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, გაეცნო საწარმოო პროცესებს. მან დათვალიერა პროდუქციის გამოფენა, რომელსაც გაერთიანების საწარმოები უშვებენ.

ერთ-ერთ ვრცელ საამქროში გაჩერდა მიტინგი. შეკრებილნი მხურვალე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

მიტინგი გახსნა საწარმოს პარტიული-ორგანიზაციის მდივანმა ვ. პულიმ.

მიტინგზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა გაერთიანების მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ნიკოლიჩმა. ელექტრონული მრეწველობის მუშები, თქვა მან, მოხარული არიან მიიღონ და მივესალმონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, ნება მიბოძეთ, ამხანაგო ბრეჟნევ, თქვა მან, ოდესორი ათასი მუშის სახელით გითხრათ გულითადი სიტყვები „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ და გთხოვთ ჩვენი მისალმებანი და სურვილები გადასცეთ საბჭოთა ადამიანებს, რათა სულ უფრო მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის თანამშრომლობა და მეგობრობა. შემდეგ გაერთიანების წარმომადგენელი სტუმრებს ესაუბრა საწარმოს საქმიანობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა წარმატებანი მოიპოვა მან, რა სიძნელეები აქვს.

დასასრულ მან დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას.

სიტყვა ეძღვნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. საამქროში კვლავ ქუხს მხურვალე ხანგრძლივი ტაში.

სურათზე: აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა საქართველოს საბჭოთა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ფოტო ს. კილაძისა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ მომიწვიეთ მოვსულიყავი თქვენს ქარხანაში და შეგხვედროდით თქვენ, ელექტრონული მრეწველობის მუშაკებს — იუგოსლავიის სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლებს. გამოგიტყდებით, რომ ქარხნის ხანმოკლე დათვალიერებაც კი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ეს ნამდვილად მოწინავე წარმოებაა, ესე იგი თანამედროვე ტექნიკა, ჭკვიანი და მარჯვე ადამიანები. ყველაფრით ჩანს, რომ თქვენ მხარდამხარ მიჰყვებით დროებას.

ჩემი ამხანაგები და მე ძალიან გაგვახარა გულითადმა მიღებამ, გულთბილმა სიტყვებმა, რომლებიც აქ ითქვა ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ხალხის მიმართ, ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით ყველა იუგოსლავ კომუნისტს, სოციალისტური იუგოსლავიის ყველა ხალხს საბჭოთა **კავშირის კომუნისტების, მუშების, ყველა მშრომელის გულმხურვალე ძმური სალამი! (ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ მეგობრობამ ახალი შინაარსი შეიძინა სოციალიზმისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანები სათუთად ინახავენ იუგოსლავი მოხალისეების — ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომის გმირი ინტერნაციონალისტების ხსოვნას. ეს მამაცი ადამიანები იბრძოდნენ და თავს დებდნენ არა მარტო რუსეთის თავისუფლებისათვის, ისინი იბრძოდნენ აგრეთვე ახალი ცხოვრებისათვის თავიანთ მშობლიურ მიწაზე.

ჩვენ ყოველთვის გვახსოვს ისიც, რომ რუსეთის რევოლუციის ქარ-ცეცხლში დაიწყო თავისი რევოლუციური გზა ამხანაგმა ტიტომაც, რომელიც ახლა ყველასათვის ცნობილია როგორც იუგოსლავი ხალხის განმათავი-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ბელგრადი. 23 სექტემბერი. მიტინგი ბელგრადის ზემუნის რაიონში მდებარე ელექტრონული მრეწველობის ქარხანაში. სურათზე: ზემუნის ქარხნის ერთ-ერთ ვრცელ საამქროში მიტინგზე სიტყვით გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

●

საკდსის ტელეფოტო.

ხუთწლედი — ვადამდე!

საქართველოს მრეწველობამ შეასრულა ცხრა თვის გეგმა

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები პირნათლად ასრულებენ ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე განაღდებისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. შეჯიბრების მონაწილენი მთელ თავიანთ ყურადღებას უთმობენ წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლას ისეთ გადამწყვეტ მიმართულებებს, როგორიც არის ტექნიკური პროგრესის ბაზაზე შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების დაჩქარება, ახალი პროდუქციის ათვისება და ხარისხის გაუმჯობესება. წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონის ამაღლება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, კერძოდ, მძიმე მრეწველობის საწარმოებში ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების მოცულობის გადიდებასა და ასორტიმენტის გაფართოებას.

მუშათა, ინჟენერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი, თავდადებული შრომის შედეგად მოპოვებულია ახალი წარმატება. 24 სექტემბერს საქართველოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა და კვარტალის დამლევამდე აწარმოებს და დამატებით გაასაღებს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის სხვადასხვა ნაწარმს. სახალხო მეურნეობა და მოსახლეობა მიიღებენ ზეგეგმით მარგანეცს, ქვანახშირს, ფეროშენადნობებს, ნაგლინს, მილებს, ავტოსაწევრებს, ლითონდასამუშავებელ ჩარხებს, „რიონის“ მარკის ტრაქტორებს, აბრეშუმის ქსოვილებს, ხალიჩებს, ჩაის, სიგარეტს, ღვინოს, ხორცსა და რძის პროდუქციას და სხვ.

მაღალი შრომითი მიღწევებით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროთა საწარმოების კოლექტივებმა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროელებმა, საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მეშახტეებმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებმა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის, „თბილხელსაწყოს“ ქარხნებისა და ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის მანქანათამშენებლებმა, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ქიმიკოსებმა, ცხაკაიას ხალიჩის კომბინატისა და მახარაძის აბრეშუმსახვევ-საძახავი ფაბრიკის მუშაკებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელსაც ამ დღეებში ფართოდ განიხილავენ პარტიულ ორგანიზაციებში, მუშათა და მოსამსახურეთა კრებებზე, რაზმავს მშრომელებს საწარმოო ძალების ალმავლობის ახალი გზებისა და რეზერვების გამოსავლინებლად.

რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელები მთელ თავიანთ ცოდნასა და ენერგიას აზმარენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სახალხო-სამეურნეო გეგმების, მეცხრე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებას. (საქდსი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილს

დიდად პატივცემულო ნიკოლოზ ივანეს-ძევ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავთ თქვენ, თანამედროვეობის გამოჩენილ მეცნიერს, დიდ საზოგადო მოღვაწეს დაბადების 80 წლისთავსა და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

თქვენი, კომუნისტი მეცნიერის ნათელი და ნაყოფიერი ცხოვრება განუყრელადაა დაკავშირებული ქართული და მთელი საბჭოური მეცნიერების განვითარებასთან.

თქვენ შექმენით ორიგინალური მათემატიკური სკოლა, რომელმაც ფართოდ გაითქვა სახელი და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ხოლო თქვენს კაპიტალურ ნაშრომებს დრეკადობის თეორიისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა შესახებ ფართოდ იყენებენ არა მარტო ბუნებისმეტყველებაში, არამედ აგრეთვე საინჟინრო პრაქტიკაში, ჰიდროაერომექანიკაში, სამშენებლო მექანიკაში, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტებისას ყველა კონტინენტის ბევრ ქვეყანაში.

დიდია თქვენი დამსახურება ქართული საბჭოთა მეცნიერების შექმნასა და განვითარებაში. სამ ათეულ წელზე მეტია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების დღიდან თქვენ მის საჭესთან დგახართ. თქვენი ხელმძღვანელობით, თქვენი უშუალო მონაწილეობით რესპუბლიკაში საძირკველი ეყრებოდა სამეცნიერო-კვლევით და ექსპერიმენტულ ბაზას, იქმნებოდა ინსტიტუტები და ლაბორატორიები, და დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად, სადაც ფართოდაა გაჩაღებული კვლევა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყველა ძირითადი მიმართულებით.

დიდი სამამულო ომის წლებში თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ, რათა დაგერაზმათ რესპუბლიკის მეცნიერული მიღწევები ფრონტის დასახმარებლად, სამშობლოს დასაცავად.

დიდი დამსახურება მიგიძღვით თქვენ საქართველოს უმაღლესი მათემატიკური განათლების ორგანიზაციაში. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიწვევით 1920 წელს თქვენ სათავეში ჩაუდექით მათემატიკის ფაკულტეტის თეორიული მექანიკის კათედრას. მას შემდეგ მეცნიერთა არაერთი თაობა აღზარდეთ. თქვენს მიერ აღზრდილი მაღალკვალიფიციური მეცნიერთა და ტექნიკური კადრები დღეს წარმატებით შრომობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, წყვეტენ თანამედროვე მეცნიერების დიდმნიშვნელოვან პრობლემებს.

თქვენ საყოველთაო პატივისცემა და ხალხის სიყვარული მოიხვეჭეთ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებენ თქვენს, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის დიდ დამსახურებას.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ნიკოლოზ ივანეს-ძევ, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ და საკეთილდღეოდ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

1971 წლის 24 სექტემბერი.

გაჭოჩენილი მათემატიკოსი და მეცნიერების ორგანიზატორი

აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა, საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილმა ორგანიზატორმა, ქართველ მათემატიკოსთა და მექანიკოსთა სკოლის შემქმნელმა და ნიჭიერმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა მეცნიერული აზრისა და ტექნიკის პროგრესში. მან ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შრომა მოახმარა ხალხის თავდადებულ სამსახურს. მისმა ნათელმა ჭკუამ, არაჩვეულებრივმა მომზიბვლელობამ, უამრავი მოწაფისა და მიმდევრის თავის გარშემო შემოკრების უნარმა დამსახურებული სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება მოუხვეჭეს მეცნიერს არა მარტო სამშობლოში, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა შორის და შორს მის ფარგლებს გარეთაც.

ნ. ი. მუსხელიშვილი და მისი მოწაფეები. საქართველოს მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელსაც იგი სათავეში უდგას, ღირსეულად ვანაგრძობენ ქართველი ხალხის შესანიშნავ კულტურულ ტრადიციებს, დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

საიუბილეო ზეიმი, რომელიც დაემთხვა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა თბილისში მიმდინარე საერთაშორისო სიმპოზიუმს, ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლეზე დგას საქართველოში მეცნიერება, რომელსაც მეთაურობს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი.

ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა მეცნიერისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად ქართველმა მთამსვლელებმა მოძმე რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების მეცნიერ ალპინისტებთან ერთად მათ მიერ დაპყრობილ კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს მუსხელიშვილის სახელი უწოდეს.

...24 სექტემბერი. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ მეცნიერები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, მრავალრიცხოვანი სტუმრები, ნ. ი. მუსხელიშვილის კოლეგები, მეგობრები და მოწაფეები, მათემატიკოსთა და მექანიკოსთა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილენი — უნგრეთის, ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ინგლისის, დანიის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები მ. ა. გოზიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კინჭარაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. პ. მძავანაძე, ნ. შ. ცხაკაია, ბ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუშვაძე, რ. ვ. ჭეტრიშვილი, ი. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. ნ. პუშკარევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. ვ. ვასილიევი, და ე. ბ. ზნამენსკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ვ. ი. ვალეკორია, ა. ბ. ლებახშა, ვ. მ. სირაძე, შ. ბ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ლ. ვ. გოგოხია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ო. მ. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ლ. ი. ჩხეიძეშვილი, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტები, მინისტრები, თვალსაჩინო საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერები.

აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას ხსნის საიუბილეო საზეიმო მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა

(დასასრული მე-3 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

სუფლებელი, რევოლუციური ბრძოლის ორგანიზატორი და გმირი, იუგოსლავიის კომუნისტთა ხელმძღვანელი, იუგოსლავიის სოციალისტური სახელმწიფოს მეთაური. **(ხანგრძლივი ტაში).**

წლეულს იუგოსლავიამ ზეიმით აღნიშნა ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყების ოცდაათი წლისთავი. საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის დღეს იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოუწოდა ხალხს დაეწყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება. 1941 წლის 4 ივლისს ანთებული გმირული ბრძოლის ალი მთელ ქვეყანას მოედო. აჯანყება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლად გადაიზარდა. **(ტაში).**

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა, ამხანაგებო, საბჭოთა ხალხის გულწრფელი მადლობა გადავუხადო ამ ბრძოლების ვეტერანებს — ჩვენს თანამოსაგრეებს ანტიფაშისტურ ბრძოლაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ადამიანებმა იციან, თუ რა უდიდესი მსხვერპლი გაიღო იუგოსლავიამ მეორე მსოფლიო ომში, რა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან ფაშიზმის განადგურების საქმეში. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თავისი გმირული ბრძოლით იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ყველაზე მკაფიო ფურცლები ჩაწერა ევროპის წინააღმდეგობის ისტორიაში, მოაახლოვა ჩვენი საერთო გამარჯვების ნანატრი დღე. ბელგრადის გასთავისუფლებისათვის ერთობლივ ბრძოლებში, იუგოსლავიის მიწა-წყალზე განხორციელებულ სხვა საბრძოლო ოპერაციებში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და იუგოსლავიის სახალხო არმიის საბრძოლო თანამეგობრობას.

ამხანაგებო! ჩვენ საბჭოთა კავშირში მიგვაჩნია, რომ ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, რომელსაც საფუძვლად უდევს სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის საწყისები, შეესაბამება საბჭოთა და იუგოსლავი ხალხების ძირეულ ინტერესებს, ხელს უწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას, მშვიდობისა და პროგრესის საქმეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ სრული უფლება გვაქვს აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობამ საკმაოდ მნიშვნელოვანი დადებითი გამოცდილება შეიძინა. ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგს. საკმარისია ავიღოთ თქვენი ქარხნის მაგალითი, რომელმაც, როგორც გვიამბეს, მტკიცე კავშირურთიერთობა დაამყარა საბჭოთა მრეწველობასთან. არ დაგიმალავთ, მე დავინტერესდი, თუ როგორ იფასებენ ჩვენში თქვენს პროდუქციას. და სიამოვნებით შევიტყვე, რომ იგი კარგი სახელით სარგებლობს. **(ტაში).**

ამასთანავე საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ელექტრონიკის თანამშრომლობა გაცილებით უფრო ფართო და ეფექტიანი უნდა იყოს. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა ჩვენი თანამშრომლობის ბევრ სხვა უბანზეც.

ჩვენი ქვეყნის მასშტაბი უდიდესია. სახალხო მეურნეობა გულდაჯერებით და დინამიკურად ვითარდება მტკიცე გეგმების საფუძველზე. ამიტომ საბჭოთა კავშირი პროდუქციის დიდი პარტიების სტაბილური შემკვეთია. ასეთი შეკვეთები კი, როგორც მოგეხსენებათ, ხელსაყრელია წარმოებისათვის, ადიდებს მის რენტაბელობას. ჩვენ გვაინტერესებს მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რომლის გამოშვება შეუძლიათ იუგოსლავიის საწარმოებს. ამავე დროს საბჭოთა კავშირს მოეპოვება დიდი შესაძლებლობანი მიაწოდოს მრავალფეროვანი და თანამედროვე სამრეწველო პროდუქცია და ნედლეული, რომლებიც ესაჭიროება სოციალისტურ იუგოსლავიას. ერთი სიტყვით, ჩვენ გვაქვს კარგი საფუძველი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის და ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა. **(ტაში).**

ეს ეხება, ამხანაგებო არა მარტო ეკონომიურ კავშირურთიერთობას, არამედ პოლიტიკურ თანამშრომლობასაც ყველაზე ფართო თვალსაზრისით. ჩვენ უკეთ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, უფრო სრულად და ყოველმხრივ ვსწავლობდეთ ჩვენი პარტიებისა და ხალხების მიერ შეძენილ გამოცდილებას. ამის ყველაზე საიმედო საშუალებაა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადამიანების ცოცხალი, უშუალო კონტაქტები. ამიტომ ჩვენ მივესალმებით სხვადასხვა პროფილისა და დონის დელეგაციათა გაცვლის გაფართოებას, დაძმობილებული ქალაქების, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების კავშირურთიერთობის განმტკიცებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

მოხარული ვიქნებით, თუ საბჭოთა მუშებს ესტუმრებიან თქვენი ქარხნის, იუგოსლავიის სხვა საწარმოთა მუშები. ნებას მივცემ ჩემს თავს მოგიწვიოთ ჩვენთან — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში — ჩამობრძანდით! **(მქუხარე ტაში).** ჩვენი სამშობლოს კარი, ჩვენი საწარმოების კარი ფართოდ არის ღია იუგოსლავი მუშებისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ვფიქრობ, იუგოსლავი ამხანაგებისათვის საინტერესო იქნება ეწვიონ ჩვენს რესპუბლიკებს, გაეცნონ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, ნახონ, როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, ჩვენი მეცნიერები და ხელოვნების მუშაკები. და, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთათვის საინტერესო იქნება ჩამოვიდნენ თქვენთან, უფრო ახლოს გაეცნონ იმას, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ მათი იუგოსლავი თანამოძმენი. **(ხანგრძლივი ტაში).**

მინდა, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, სავსებით გულახდილი ვიყო თქვენთან ყველა საკითხში და, მინდა ვთქვა, რომ ზოგჯერ გაიგონებთ, თითქოს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობას არ ჰქონდეს პერსპექტივები იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირისათვის გამოუსადეგარია სოციალისტური მშენებლობის ის მეთოდები, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციის ის ფორმები, რომლებსაც იუგოსლავიაში იყენებენ, ხოლო იუგოსლავები თითქოს უარყოფენ საბჭოთა გამოცდილებას. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე?

საიდუმლო არ არის, რომ საბჭოთა კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები ყველაფერს როდი იზიარებენ, რაც განსაზღვრავს იუგოსლავიის საზოგადოებრივი ცხოვრების ახლანდელი ორგანიზაციის სპეციფიკას. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, გვაქვს საკუთარი ტრადიციები, საკუთარი გამოცდილება, ისინი შეესაბამება სოციალიზმის ჩვენს გაგებასაც და ჩვენს პირობებსაც.

ჩვენ, როგორც კომუნისტმა-მარქსისტებმა, კარგად ვიცით, რომ არსებობს სოციალისტური მშენებლობის გარკვეული ზოგადი კანონზომიერებანი და სოციალიზმის ზოგადი, პრინციპული თვისებები და ნიშნები, ურომლისოდაც სოციალიზმი საერთოდ ვერ იქნება. ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის კონკრეტული ფორმების ამორჩევა თვითეული კომუნისტური პარტიის, თვითეული ხალხის საშინაო საქმეა. ერთხელ კიდევ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ამ ფორმების განსხვავება არ უნდა იყოს მიზეზი რაიმე უთანხმოებისა თუ უნდობლობისა სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობაში, და ბუნებრივია, ჩვენსა და თქვენს შორისაც. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ დავუპირისპიროთ ერთმანეთს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში და მით უმეტეს წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ ვიმეტ თავს ახვევდეს სხვებს განვითარების საკუთარ კონკრეტულ მეთოდებს. **(ტაში).**

ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, მარქსიზმ-ლენინელებისათვის, პრინციპულია ის, რომ ჩვენი ქვეყნები ეკუთვნიან ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას. ეს კი, ამხანაგებო, საბოლოო ანგარიშით ყველაზე მთავარია. დარწმუნებული ვართ, თუ ვიხელმძღვანელებთ ამით და ვიმოქმედებთ ამხანაგობისა და ურთიერთნდობის სულისკვეთებით, ჩვენი კომუნისტური პარტიების ღონისძიებანი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის განვითარებისათვის წარმატებით დაგვირგვინდება. **(ტაში).**

საბჭოთა და იუგოსლავი ხალხების მეგობრობისა და ძმობის საძირკველი შედუღაბებულია საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღვრილი სისხლით. ეს საძირკველი ურყევია. და ჩვენ, ყველა ჩვენგანი ამხანაგებო, პასუხს ვაგებთ ისტორიის წინაშე, იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც დაიღუპა, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების წინაშე. ჩვენ პასუხს ვაგებთ იმისათვის, რომ ამ საძირკველზე აშენებული საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის შენობა იყოს ნათელი და მყარი, რომ ამ შენობაში გულახდილობისა და ურთიერთნდობის ვითარება სუფევდეს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირში დიდი ყურადღებით, კეთილმოსურნე დაინტერესებით ადევნებენ თვალს იუგოსლავი ხალხის ცხოვრებას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას თქვენს ქვეყანაში. გულწრფელად გვახარებს თქვენი წარმატებანი. ვწუხვართ, როცა გვესმის თქვენი სიძნელეებისა და შეფოთების ამბავი, გულითა და სულით გისურვებთ დიდ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო მეგობრებო! სიამოვნებას მგვრის გიამბოთ თქვენ, ჩვენს მეგობრებს, თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები. როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაიმართა სკკპ XXIV ყრილობა. მან განსაზღვრა პარტიის საქმიანობისა და ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებანი უახლოესი წლებისათვის.

ყოველთვის ძნელია საკმაოდ ტევადი შედარებებისა და მაგალითების მონახვა, რათა რამდენიმე ფრაზით დავხატოთ მთელი ქვეყნის, მთელი სახელმწიფოს განვითარების სურათი. მაგრამ მაინც შევეცდებით ამას; წარმოიდგინეთ, რომ მარტო 1970 წლის მახძილზე გამოვუშვით დაახლოებით ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე სამი ომამდელი ხუთწლედის მანძილზე. სკკპ XXIII და XXIV ყრილობებს შუა პერიოდში არსებითად გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, გადიდდა ანაზღაურებული შვებულებების ხანგრძლივობა. მშრომელთა უმრავლესობა ახლა სარგებლობს კვირაში ორი დასვენების დღით, ხუთი წლის მახძილზე 55 მილიონმა კაცმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. 33 პროცენტით გაიზარდა რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

წელს ჩვენ დავიწყეთ ახალი, მეცხრე ხუთწლედი. ჩვენი ქვეყნისათვის, საბჭოთა ხალხისათვის მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვეყრდნობით რა წინა წლების მიღწევებს, დავიწყეთ მთელი სახალხო მეურნეობის შემობრუნება საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიმართულებით. რა თქმა უნდა, წინათაც ბევრი რამ კეთდებოდა საბჭოთა მშრომელების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. მათი ცხოვრების, შრომისა და ყოფის პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ახლა ჩვენ გვაქვს სხვაგვარი, გაცილებით მეტი შესაძლებლობანი, და გვსურს ფართოდ გამოვიყენოთ ისინი, რათა საბჭოთა ადამიანი უკეთ, უფრო მშვიდად ცხოვრობდეს.

ყოველივე ეს, ამხანაგებო, სოციალიზმის რეალური ნაყოფია. ის, ვინც კარგად შრომობს, ვინც ძალღონეს, ცოდნას იხმარს ახალი საზოგადოების მშენებლობას — ასეთი შესაძლებლობა კი ჩვენში ყველასათვის გარანტირებულია, — მას უფლება აქვს მიიღოს კარგი ხელფასი და კეთილმოწყობილი ბინა, ჰქონდეს ყველა შესაძლებლობა სწავლისა და კულტურული ზრდისათვის, ჯანსაღი დასვენებისათვის.

ჩვენი ქვეყანა ემზადება მომავალ წელს აღნიშნოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავი. ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის აყვავების უზრუნველყოფის ხაზს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ასზე მეტია. საბჭოთა კავშირში დიდი ხანია უკვე აღარ არის ჩამორჩენილი, სუსტად განვითარებული რესპუბლიკები. თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თანამედროვე ინდუსტრია, მექანიზებული სოფლის მეურნეობა, ჰყავს ინტელიგენციის ეროვნული კადრები, აქვს თავისი მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. და ყოველივე ეს, ამხანაგებო, ერთობლივი მეცადინეობის შედეგი, ძმური ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმხარდაჭერის შედეგია. ერებისა და ეროვნებების მეგობრობა და თანამშრომლობა მიგვაჩნია სოციალისტური საზოგადოების ძალისა და ძლიერების ერთ-ერთ წყაროდ, დიდმნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც აჩქარებს კომუნიზმისაკენ წინსვლას.

ჩვენი წარმატებანი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან. ყველგან და ყველაფერში ვახორციელებთ პარტიის ხელმძღვანელი როლის თანმიმდევრულ ლენინურ პრინციპს. პარტიის პოლიტიკაში გამოიხატება საბჭოთა საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ყველა ერისა და ეროვნების ინტერესები. პარტიისა და ხალხის ერთიანობა — ასეთია საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ქვაკუთხედი.

საბჭოთა ადამიანები მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ პარტიის მიერ დასახული პროგრამა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება. ამისათვის გვაქვს ყველა შესაძლებლობა: ნათელი პოლიტიკური კურსი, რომელსაც სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი, საჭირო მატერიალური ბაზა, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები.

რა თქმა უნდა, ჩვენი გეგმების შესრულებისათვის საჭიროა კიდევ ერთი რამ: უზრუნველყოთ მტკიცე მშვიდობა, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური ხაზი ნათელი და თანამიმდევრულია. მტკიცედ ვიცავთ სოციალიზმის ინტერესებს ყველა მისი მტრისაგან. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას, მხარს ვუჭერთ ყველა ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით აგრესიის, ომების, ჩაგრის, იმპერიალისტური პოლიტიკის მტკიცე მოწინააღმდეგენი. ჩვენს პოლიტიკას ვახორციელებთ თანმიმდევრულად და ბეჯითად, ვახორციელებთ სოციალიზმის მოძმე ქვეყნებთან სხვა თავისუფლებისმოყვარე და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით. და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მეცადინეობას რეალური ნაყოფი გამოაქვს. **(ტაში).**

მაგალითად, ავიღოთ ევროპის მდგომარეობა. მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ვიბრძოდით ჩვენ, სხვა სოციალისტური ქვეყნები, რათა საბოლოოდ დაგვემკვიდრებინა მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი განვითარების შედეგები. ძნელი იყო ეს ბრძოლა, მაგრამ მას სულ უფრო საგრძნობი შედეგები მოაქვს. მიღწეულია შეთანხმება დასავლეთ ბერლინის საკითხზე. რიგშია საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიისა და პოლონეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებათა რატიფიკაცია. უფრო აქტიურდება მზადება უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირისათვის. და, თუმცა ჯერ კიდევ მოგველის ხანგრძლივი და ძნელი ბრძოლა, მაგრამ მთლიანად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა ევროპაში უკვე რეალური პერსპექტივა ხდება.

ჩვენ გვინდა, რომ ევროპაშიც, სხვა კონტინენტებზეც ყველა ხალხი სარგებლობდეს მშვიდობიანი, მშვიდი ცხოვრების სიკეთით. ჯერჯერობით ეს არ არის. ხელს გვიშლის იმპერიალიზმი, აგრესიის, ხალხებისათვის ძირმომპალი, რეაქციული რეჟიმების თავსმოხვევის მისი პოლიტიკა. ჩვენ ვიბრძოდით და კვლავაც ვიბრძოლებთ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ინდოჩინეთში. ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ ისრაელის აგრესიის — ყველა შედეგის — ლიკვიდაციისათვის ახლო აღმოსავლეთში. **(ტაში).** და დარწმუნებული ვართ, რომ ბოლოს და ბოლოს სამართლიანობა — გაიმარჯვებს, აგრესორები იძულებული იქნებიან წავიდნენ იქიდან, იმ ქვეყნების ხალხებს კი, რომლებმაც თავდასხმა განიცადეს, შესაძლებლობა ექნებათ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირს მიაჩნდა და მიაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში, როცა მსოფლიო ასპარეზზე არ წყდება რეაქციისა და პროგრესის ძალების, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძალების ბრძოლა, იმპერიალიზმისა და რეაქციის მოქმედებას უნდა დავუპირისპიროთ სოციალისტურ სახელმწიფოთა აქტიური და შეთანხმებული პოლიტიკა. აი რატომ არის, რომ ბრძოლა სოციალიზმის ქვეყნების შემდგომი შეკავშირებისათვის, ზოგიერთი მათგანის ურთიერთობაში არსებული სიძნელეებისა და გართულებების დაძლევისათვის, შეადგენს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

სოციალისტურმა სახელმწიფოებმა შეიძინეს საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანი ყოველმხრივი თანამშრომლობის, პოლიტიკის შეთანხმების, მოქმედების კოორდინაციის მნიშვნელოვანი გამოცდილება. უდიდესი ძმური თანამშრომლობა თავის გამოხატულებას პოულობს, მაგალითად, ვარშავის თავდაცვით ხელშეკრულებაში, რომელიც წარმოშვა და არსებობს როგორც მშვიდობისა და სოციალიზმის დაცვის საიმედო ინსტრუმენტი, როგორც მძლავრი ფორფოსტი ნატოს იმპერიალისტური ბლოკის წინააღმდეგ. სოციალიზმის ქვეყნების თანამშრომლობის მნიშვნელოვანი უბანია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა, რაც თქვენთვის, ალბათ, კარგად არის ცნობილი, რადგან იუგოსლავია თანამშრომლობს ამ ორგანოსთან. ამ ორგანიზაციის ფარგლებში ახლა ხორციელდება უმნიშვნელოვანესი საქმე — სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამა. ძმური თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება ამ მრავალფეროვან ურთიერთობაში, რომელსაც ვავითარებთ კუბასთან, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობაში, რომელზეც უკვე ვილაპარაკე.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ ჩამოვედით თქვენთან იუგოსლავიაში, რათა იუგოსლავ ხელმძღვანელებთან ერთად გაგვეანალიზებინა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა, საერთო მეცადინეობით აღმოგვეფხვრა ის, რაც ართულებს ამ ურთიერთობას. დაგვესახა მისი შემდგომი განვითარების ყველაზე პერსპექტიული მიმართულებანი. ამხანაგ ტიტოსთან და სხვა იუგოსლავ პოლიტიკურ მოღვაწეებთან მეგობრული, გულახდილი საუბრების დროს ვცდილობდით გამოგვენახა საერთო ენა, და, ვფიქრობთ, მოვახერხეთ ეს. მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ რაც უფრო მჭიდრო იქნება ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე, მით უფრო უკეთესი იქნება სოციალიზმის საქმისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შეხვედრები იუგოსლავიის ხელმძღვანელებთან ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საქმეს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დასასრულ მინდა ამ ტრიბუნიდან გულითადი მადლობა გადავუხადო ამხანაგ ტიტოს, სხვა იუგოსლავ ხელმძღვანელებს, ბელგრადის მოქალაქეებსა და ყველა თქვენთაგანს, ძვირფასო ამხანაგებო, გულთბილი მასპინძლობისათვის, რაც გაუწიეთ ჩვენს დელეგაციას. **(ხანგრძლივი ტაში).** ეს მიგვაჩნია ჩვენი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთ დადასტურებად. ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გისურვოთ თქვენ, იუგოსლავიის ძმური მეგობრობით გაერთიანებული ყველა რესპუბლიკის მშრომელებს, მუშებს, ყველა მოქალაქეს ბედნიერება და აყვავება. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** გისურვებთ დიდ შრომითს წარმატებებს თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, სოციალიზმის საკეთილდღეოდ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს იუგოსლავიის სახელოვან მუშათა კლასს — მთავარ ძალას თქვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაში! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ვაშა!“).**

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური იუგოსლავიის ხალხთა ძმური მეგობრობა! **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. დარბაზში კვლავ გაისმის „ვაშა!“).**

□ □ □

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრენ დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ხანგრძლივი ტაში. სიტყვის სასრულს ნაწილს დამსწრენი შეხვდნენ მქუხარე ოვაციით, შეძახილებით „ვაშა!“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა:

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ჩვენი მეგობრობის ნიშნად თქვენი ქარხნის კოლექტივს გადავცე სამახსოვრო საჩუქარი — მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის, კომუნისტთა დიდი მასწავლებლის, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სკულპტურული პორტრეტი. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში). ჩვენ აგრეთვე გადმოგცემთ ელექტრონული მრეწველობის საბჭოთა ინჟინრების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით შესრულებულ ჩვენი სახელმწიფო გერბისა და თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის გერბების გამოსახულებას, რომლებიც შეადგენენ ერთიან ერთსულოვან ოჯახს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის).

მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა საჩუქრები გადასცა ქარხნის წარმომადგენლებს. პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მ. კულაიმ კოლექტივის სახელით გულთბილი მადლობა გადაუხადა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ქარხნისადმი გამოჩენილი დიდი პატივისათვის, გულთბილი სიტყვებისათვის მუშებისადმი, და თქვა:

— ამხანაგო ბრეჟნევ, მადლობას გიხდით საჩუქრისათვის, რომელიც ჩვენთან დარჩება საწარმოში თქვენი ყოფნის შესახებ კეთილ მოგონებად. ქარხნის მუშაკები დარწმუნებული არიან, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცებასა და გაღრმავებას. იგი იქნება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური იუგოსლავიის ურთიერთობის განმტკიცების სტიმული. ჩვენ გთხოვთ გულითადი სალამი გადასცეთ საბჭოთა კავშირის მშრომელებს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი საწარმოს წარმომადგენლებთან. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის ცხოვრების, მეგობრული საუბარი საწარმოს წარმომადგენლებთან. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის ცხოვრების შესახებ. მან ინტერესით გამოიკითხა იუგოსლავიის ხალხთა, კერძოდ, მუშათა ცხოვრების სხვადასხვა მხარე, როგორია მათი ყოფაცხოვრება, როგორ მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა ქვეყანაში. დასასრულ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა ქარხნის კოლექტივს გულთბილი, გულითადი მიღებისათვის.

მოლაპარაკება იუგოსლავიაში

ბელგრადი, 24 სექტემბერი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. იოსიპ ბროზ ტიტო დღეს ჩამოვიდნენ კარაჯორჯევოს რაიონში (ვოივოდნის ავტონომიური მხარე) მოლაპარაკების განსაგრძობად.

მათთან ერთად აქ ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ოფიციალური პირნი, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობენ.

ხუთწლედი — ვადამდე!

თბილისის მრეწველობამ შეასრულა ცხრა თვის გეგმა

საქართველოს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებში მომდინარეობს ყოველდღიური და შეუპოვარი ბრძოლა სკკპ XXIV ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულობათა შესასრულებლად. ყოველდღიურად მშრომელები სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს წარმოების მოწინავეთა პატრიოტულ მოწოდებას „ხუთდღიური — ოთხ დღეში“.

დაუცხრომლად ეძებენ რა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების რეზერვებს, თბილისის მრეწველობის მშრომელებმა 24 სექტემბრს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა.

სექტემბრის დამლევამდე სახელმწიფოს დამატებით ჩაბარდა კიდევ რამდენიმე მილიონი მანეთის მძიმე მრეწველობის პროდუქცია და სახალხო მოხმარების საქონელი.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო, ავჭალის შუშის, ფოლად-თუჯსამსხმელო, ორჯონიკიძის სახელობის და 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებლო, ლენინის, კონიაკის ქარხნების, სართავსატრიკოტაჟო კომბინატის და კავშოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, № 1 და № 2 თამბაქოს, ჩაის საწონი, № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, თბილისის მეტროპოლიტენის, თბილისის რკინიგზის განყოფილების და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

თბილისის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მაღალი მაჩვენებლებით აღნიშნონ 1971 წელი და ღირსეული წვლილი შეიტანონ ახალი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებაში.

(საქდესი).

თანამშრომლობა მანქანათმშენებლობის დარგში

23 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მრავალმხრივი საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის შესახებ საავტომობილო მრეწველობის დარგში, აგრეთვე მინისა და კერამიკის ნაკეთობათა დასაშაზადებელი მოწყობილობის წარმოების სფეროში. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის. რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა. (საკდესის კორ.).

შეხვედრები სირიელ მეგობრებთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ 24 სექტემბერს მიიღო თბილისში ჩამოსული სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის თავმჯდომარე ფაჰმი ალ-იუსეფი.

მეუღლმა რა დელეგაციის წევრებს, ვ. სირაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, გამოხატავენ სიმპათიასა და მეგობრობას სირიელი ხალხისადმი, უსურვებენ მას წარმატებებს პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. მან სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ფაჰმი ალ-იუსეფმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც დელეგაციას გაუწიეს. მან გამოთქვა რწმენა, რომ სირიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

საუბარში მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე.

იმავე დღეს დელეგაციის წევრები ესაუბრნენ რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს მოადგილეს მ. დოლაბერიძეს.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში სირიელი სტუმრები შეხვდნენ არაბულ ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული

გამოჩენილი მათემატიკოსი და მეცნიერების ორგანიზატორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში.

ფოტო ს. კილაძისა.

(დასასრული).

აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. ა. ლავრენტიევი. იგი სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მეჟლანაძეს.

ძვირფასო ნიკოლოზ ივანეს-ძევ! ძვირფასო ამხანაგებო! პატივცემულო სტუმრებო! — ამბობს ვ. პ. მეჟლანაძე.

დღეს ჩვენ ყველანი შევიკრიბეთ ფრიად საზეიმო შემთხვევის გამო — აღვნიშნავთ ჩვენი ძვირფასი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის დაბადების დღეს და მის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ამიტომ მინდა უწინარეს ყოვლისა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ საღამოზე დასწრებით პატივი სცა ჩვენს სახელოვან იუბილარს, — თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერებისა და ჩვენს საზღვარგარეთელ სტუმრებს, რომლებიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ.

ნიკოლოზ ივანეს-ძე! სიტყვები არ მყოფნის. გამოვთქვა ჩემი დიდი პატივისცემა ჯაცისადმი, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და ცოდნა მოახმარა მშობელ ხალხს; გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისადმი, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს მეცნიერული აზრის პროგრესსა და თანამედროვე ტექნიკის განვითარებაში; დიდი საზოგადო მოღვაწისადმი, რომელიც ბევრ ენერგიას ახმარს როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მთელი საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას.

ამ საზეიმო დღეს მინდა გისურვოთ თქვენ, ნიკოლოზ ივანეს-ძევ, ყოველივე ის, რაც შეიძლება ვუსურვოთ ყველაზე ძვირფას, ყველაზე პატივცემულ კაცს — ყოველივე კარგი, ყოველივე კეთილი: ჯანმრთელობა, დიდი ბედნიერება, სიხარული, ახალი სახელოვანი წარმატებანი ცხოვრებაში.

მინდა გისურვოთ, რომ არასოდეს არ დამრეტლილიყოს თქვენი ნათელი აზრის სიღრმე, თქვენი გამჭრიახი გონება, თქვენი დიდი ადამიანური მომხიბვლელობა და გულის სითბო, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც თქვენ ასე გახასიათებთ, ყველაფერი ის, რითაც ასე გვიზიდავთ და რისთვისაც ასე დიდ პატივს ვცემთ, გაფასებთ და ვვიყვარხართ.

ვ. პ. მეჟლანაძემ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება ნ. ი. მუსხელიშვილისადმი.

შემდეგ ამსვ. მეჟანაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ნ. ი. მუსხელიშვილის თქმანბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ. მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

შვეიცარიელთა ტაშის გრიალში ვ. პ. მეჟანაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ნ. ი. მუსხელიშვილს გადასცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

ტრიბუნაზეა აკადემიკოსი მ. ა. ლავრენტიევი. მან წაიკითხა მოსხენება ნ. ი. მუსხელიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

— ჩვენ დღეს აქ შევიკრიბეთ, — თქვა აკადემიკოსმა მ. ლავრენტიევმა, — რათა პატივი ვცეთ ჩვენს სახელოვან იუბილარს — ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერსასა და მათემატიკოსს, საბჭოთა მეცნიერების გამორჩენილ ორგანიზატორს, აკადემიკოს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილს.

მიმდინარე წლის 16 თებერვალს მას ოთხმოცი წელი შეუსრულდა, საბჭოთა კავშირის საჭეთნერო საზოგადოებრიობა, საქართველოს მშრომელები დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

ახლა თბილისში, საქართველოს დედაქალაქში მოდის კარგად გავლილი მათემატიკური გზები. ამ ქალაქისადმი, სადაც ჯერ რამდენიმე ათეული წელია არსებობს შესანიშნავი ქართული მათემატიკური სკოლა, მუსხელიშვილის სკოლა. დღეს მიპყრობილია ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერების და ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგების მზერა. და ეს სავსებით გასაგებია. ნიკოლოზ მუსხელიშვილის წვლილი მეცნიერებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ ბევრი თაობა ისწავლის მის შრომებს, რომლებმაც ახალი ზეება გაკვალეს მეცნიერებასა და მათემატიკაში.

მუსხელიშვილთა გვარი კარგად არის ცნობილი ბოლო საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. მისმა შვილებმა — მამამ ივანე ლევანის-ძე მუსხელიშვილმა, მაღალი რანგის სამხედრო ინჟინერმა, და დედამ დარია ალექსანდრეს ასულმა საგინაშვილმა, დიდად განათლებულმა ქალმა, შვილები აღზარდეს თავისი დროის საუკეთესო ტრადიციებით.

საშუალო განათლება ნიკოლოზ მუსხელიშვილმა მიიღო თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო, განსაკუთრებით მათემატიკაში, რომლისადმი მიდრეკილება ადრე გამოამჟღავნა. ამაში დიდი როლი შეასრულა მამამისმა, რომელმაც კარგად იცოდა მათემატიკა და შეძლო ჩაენერგა ინტერესი მათემატიკისადმი თავისი უფროსი ვაჟისათვის. აი რატომ იყო, რომ ერთ-ერთ თავის ნაშრომს — თეორიული მექანიკის სასწავლო კურსის პირველ ნაწილს, რომელიც 1928 წელს დაიბეჭდა, — ნიკოლოზ მუსხელიშვილმა ასეთი რამ წაწერა: „ჩემს მათემატიკის პირველ და საუკეთესო მასწავლებელს, ძვირფას მამას, სამხედრო ინჟინერ-ტექნოლოგს ივანე მუსხელიშვილს ვუძღვნი ამ შრომას“.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ნიკოლოზ მუსხელიშვილი 1909 წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. იმ ხანად პეტერბურგის უნივერსიტეტში სუფევდა ინტენსიური მეცნიერული შემოქმედების ატმოსფერო, შესანიშნავი მათემატიკური ტრადიციები, რომლის სათავეებთან იდგნენ პ. ლ. ჩებიშევი, ა. ა. მარკოვი, ა. მ. ლიაპუნოვი, ნიკოლოზ მუსხელიშვილიც ეწაფება მათემატიკის შესწავლას, ღრმად ეუფლება მათემატიკის მეცნიერების კლასიკოსთა მდიდარ მემკვიდრეობას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1914 წელი) ნ. ი. მუსხელიშვილს სტიპენდიენტად ტოვებენ ალგებრის კათედრაზე პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად. ამ კათედრას მაშინ ფაქტიურად ხელმძღვანელობდა ვ. ვ. ბოლოსოვი, რომელთან თანამშრომლობით ანალიზურ ალგებრაზე მეცნიერმა დაწერა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი „დრეკადი მრავალი დისკოების წონასწორობის შესახებ“. მომავალში ნ. ი. მუსხელიშვილი დიდად დაინტერესა ამ დიდმნიშვნელოვანმა პრობლემატიკამ, რომელიც მოითხოვდა ანალიზური ფუნქციებისათვის სასაზღვრო ამოცანების კვლევის ახალი მეთოდების სრულიად დამუშავებას.

1920 წელს ნიკოლოზ მუსხელიშვილი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში, სადაც სათავეში ჩაუდგა თეორიული მექანიკის კათედრას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მრავალი ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა და თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა, როგორც რიული აქტალური სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტაში, ისე მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადებაში.

უდიდესია ნიკო მუსხელიშვილის როლი თბილისის უნივერსიტეტში მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, გეოფიზიკოსთა, ასტრონომთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მტკიცე საფუძვლის შექმნაში. ბასდა რა მოკლე ხანში თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი, ნიკო მუსხელიშვილი კითხულობს ლექციებს კურსებს მათემატიკაში და მეექვსეკურსში, ამზადებს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებს, ეწევა საინტერესო მეცნიერულ მოღვაწეობას.

მალე გამოდიან ნიკო მუსხელიშვილის ორიგინალური სახელმძღვანელოები ქართულ და რუსულ ენებზე თეორიულ მექანიკასა და ანალიზურ გეომეტრიაში. ბასდა „ანალიზური გეომეტრიის კურსმა“ მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ამ სახელმძღვანელოთი კითხულობენ ანალიზური გეომეტრიის კურსებს სხვადასხვა ქვეყნის მრავალ უნივერსიტეტში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ნიკო მუსხელიშვილის განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭი. მისი ლექციები შუდამ გამოირჩეოდა არა მარტო აზრის ზუსტი ჩამოყალიბებით, არამედ აგრეთვე — რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია — სიცხადით. იმისათვის, რომ მიაღწიო ასეთ სრულყოფას სწავლებაში, როგორც ვიცით, უდიდეს ნიჭთან ერთად საჭიროა გულმოდგინე მუშაობა წასაკითხ კურსებზე.

ნ. ი. მუსხელიშვილი რევოლუციამდელი ინტელიგენციის იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელმაც მაშინვე შეიგნო მომხდარი დიდი ცვლილებების მნიშვნელობა და, უყოყმანოდ დაიწყო პატიოსნად და ინიციატივიანად მუშაობა ახალ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ხელს უწყობდა სოციალიზმის ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დაჩქარების ღონისძიებათა განხორციელებას.

ნიკო მუსხელიშვილი ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა ამ ამოცანების გადაჭრაში, ამასთან ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას და დიდ ორგანიზატორულ მუშაობას.

ფასდაუდებელია ნ. ი. მუსხელიშვილის დამსახურება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანიზაციისა და განვითარებაში. ნიკო მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაარსების პირველი წლებიდანვე ჯახდა საინჟინრო კადრების მომზადების დიდი და მოწინავე კერა, სერიოზული მეცნიერული მუშაობის კერა. თავისი ორგანიზატორული ნიჭისა და დიდი მეცნიერული ავტორიტეტის მეოხებით ნიკო მუსხელიშვილმა შეძლო მიეზიდა და შეკავშირებინა შესანიშნავი მეცნიერები, სპეციალისტები და პედაგოგები.

1931-1932 წლებში ნ. ი. მუსხელიშვილი მიიწვიეს ლენინგრადში, სადაც მან წაიკითხა ლექციების კურსი დრეკადობის მათემატიკური თეორიის საკითხებზე, რომელიც საფუძვლად დაედო მის ცნობილ მონოგრაფიას „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“. ეს მონოგრაფია გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ 1933 წელს.

მეცნიერების საგანძურში პირად წვლილთან ერთად დღეს განსაკუთრებით ფასობენ მეცნიერის შრომას მეცნიერთა ეკლის მომზადებაში, რომელსაც შეუძლია წარმატებით განვითაროს მეცნიერება.

ნიკო მუსხელიშვილის მდიდარი მეცნიერული იდეები მუდამ იზიდავენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ნიჭიერ ახალგაზრდობას. მუსხელიშვილის მეცნიერული მათემატიკური სკოლა განთქმულია მთელ მსოფლიოში. ამ სკოლიდან გამოვიდნენ ჩვენი დიდი მეცნიერნი — აკადემიკოსები ი. ნ. ვეკუა, ა. ვ. ბიწაძე, ვ. დ. კუპრაძე, ნ. პ. ვეკუა, შ. ვ. მიქელაძე და ბევრი სხვა — წევრ-კორესპონდენტები, პროფესორები და დოცენტები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებლებში.

1933 წელს ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის ინიციენენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1935-1938 წლებში ნიკოლოზ მუსხელიშვილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო 1938-1941 წლებში — თავმჯდომარე. შეიკავშირა და საქართველოს საუკეთესო მეცნიერული ძალები და ნიჭიერი ახალგაზრდობა, ნიკო მუსხელიშვილმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ ფილიალის ორგანიზაციასა და განვითარებაში, რომლის დიდ მეცნიერულ მიღწევებს, ბუნებრივია, მოაქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნა. მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტთან ჯერ კიდევ 1933 წელს დაარსდა მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტი, შეიქმნა ფიზიკის ინსტიტუტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია და მეცნიერების მთელი რიგი სხვა კერები, რომლებიც შემდგომში გადადიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

თვალსაჩინო მეცნიერული დამსახურებისათვის ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი 1939 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად). 1941 წელს ნ. ი. მუსხელიშვილი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთა შემადგენლობაში, მას ირჩევენ ამ აკადემიის პირველ პრეზიდენტად. აი უკვე 30 წელზე მეტია ნიკო მუსხელიშვილს უკვლევლად უკავია ეს მაღალი პოსტი, სადაც განსაკუთრებით გამოვლინდა მისი დიდი ორგანიზატორული ტალანტი.

ნიკო მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით თავისი არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ განსაზღვრულია მეტად ნაყოფიერი კვლევითი მუშაობა მეცნიერების ბევრ დარგში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დამსახურებულად ითვლება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრად.

როგორც უაღრესად პროგრესული მეცნიერი, ნიკო მუსხელიშვილი ყოველნაირად უწყობს ხელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერების მრავალი ახალი დიდმნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებას. დიდია მისი როლი ამ აკადემიის სისტემაში გამოთვლითი ცენტრის, კიბერნეტიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტების, აგრეთვე სხვა დიდ დაწესებულებათა ორგანიზაციაში, რომლებიც ინტენსიურად ეწევიან კვლევას ამ ახალი მიმართულებებით.

ნიკო მუსხელიშვილი ფართო მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესების კაცია, მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წარმოდგენილი ყოფილიყო და წარმატებით განვითარებულიყო თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითადი დარგი, როგორც ფიზიკა-მათემატიკური და საბუნებისმეტყველო პროფილების, ისე ჰუმანიტარული მიმართულებისა.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენს დროში — მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი, უმაღლესი განვითარების ეპოქაში — მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერების ორგანიზატორთა, დიდ მეცნიერთა როლი, რომლებსაც სწორად ესმით მეცნიერების კომპლექსების განვითარების პერსპექტივები და აკავშირებენ მეცნიერულ ძალებს ამ პერსპექტივების განსახორციელებლად. ნ. ი. მუსხელიშვილი ერთ-ერთი გამოჩენილი მექანიკოსი ერთ-ერთი ამოჩენილი ენციკლოპედიური ერუდიტი, ამ დარგში.

ნიკო მუსხელიშვილის ორგანიზატორული მუშაობის მასშტაბი არ იფარგლება საქართველოს საზღვრებით. არის რა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ის უკვე ოცდაათი წელია ნიკო მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობს სრულიად საკავშირო მასშტაბით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მთელ რიგ სახელმწიფო ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში. იგი არის ჩვენს ქვეყანაში ფიზიკა-ტექნიკური განათლების სამეცნიერო და სასწავლო ცენტრების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, რომელიც აქტიურ სტიმულს აძლევენ მეცნიერულ პროგრესს.

ნ. ი. მუსხელიშვილის ნაშრომთა ღრმა მეცნიერული იდეები წარმატებით ვითარდება მისი მრავალი თანამშრომლის გამოკვლევებში, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ნიკო მუსხელიშვილი აჩრდილავს სოხუმის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, საზღვარგარეთის მთელი რიგი აკადემიების და სამეცნიერო საზოგადოებების წევრად. კერძოდ, იგი არის ბულგარეთის, პოლონეთისა და გერმანიის (ბერლინი) მეცნიერებათა აკადემიების უცხოელი წევრი. ახლახან ნიკო მუსხელიშვილს მიენიჭა გამოყენებით მათემატიკისა და მექანიკაში მოდულტო პანეტის საერთაშორისო პრემია. თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის საერთაშორისო ასოციაციამ 1963 წელს აქ, თბილისში, ნიკო მუსხელიშვილის პატივსაცემად მოაწყო მეტად წარმომადგენლობითი ფორუმი თანამედროვე კამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის აქტუალურ პრობლემებზე. იგი არის სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარე ამ ორგანიზაციის დაარსების დღიდან და დიდი მუშაობა გასწია საზღვარგარეთელ კოლეგებთან ჩვენი მექანიკოსების საერთაშორისო მეცნიერული ურთიერთობის გაღრმავებისა და გაფართოებისათვის.

ნ. ი. მუსხელიშვილი ოთხმოცზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მისი მეცნიერული შემოქმედების ვეკრვენინა მთელ მსოფლიოში ეწოდა „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ და „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“, ამ ნაშრომებისათვის მას ორჯერ მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია. ეს მონოგრაფიები, რომლებშიც მოცემულია ნიკო მუსხელიშვილისა და მისი უშუალო მოწაფეების შესანიშნავი გამოკვლევანი, რამდენჯერმე გამოიცა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც, სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა ქვეყანაში, ამჟამად ეს მონოგრაფიები სამგზეიდან წიგნებია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის: მათემატიკოსებისათვის, მექანიკოსებისათვის, ფიზიკოსებისათვის, ინჟინრებისათვის.

ნიკო მუსხელიშვილის მონოგრაფიები დიდად არის შეფასებული მრავალ რეცენზიასა და გამონათქვამში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც.

ჩვენი იუბილარის ნაშრომებზე განსაკუთრებით მაღალი აზრისაა სახელმოსვეჭილი მეცნიერი — ხომალდმშენებელი აკადემიკოსი ა. ნ. კრილოვი. ასევე აფასებენ ამ მონოგრაფიებს ჩვენი გამოჩენილი მექანიკოსები და თეორეტიკოსი ფიზიკოსები აკადემიკოსები ს. ა. ჩაპლიგინი, მ. ვ. კელდიში, ვ. ა. ფოკი, ნ. ნ. ბოგოლიუბოვი, ა. ს. სობოლევი, ლ. ი. სედოვი, ა. ი. იშლინსკი და სხვები. გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის დარგის ცნობილმა ინგლისელმა სპეციალისტმა პროფესორმა რ. ჰილმა მათ „დრეკადობის თეორიის ნიშანსვეტი“ უწოდა.

ნ. ი. მუსხელიშვილი ჩვენი ქვეყნის მოელი სამეცნიერო საზოგადოებრიობის დიდი პატივისცემით სარგებლობს. მისი ყოველი ჩამოსვლა მოსკოვში ან მასთან შეხვედრა მეცნიერთა ყრილობებსა და კონფერენციებზე სიხარულს გვრის არა მარტო მის კოლეგებსა და მეგობრებს, არამედ ყველას, ვინც იცნობს ნიკო მუსხელიშვილს — ამ მომხიბვლელ და გულისხმიერ ადამიანს, მუდამ კეთილი ღიმილი რომ გამოუკრთის თვალებში, ამ კაცთმოყვარე და გულითად ადამიანს, ასე უხვად რომ ახასიათებს იუმორის გრძნობა.

ნიკო მუსხელიშვილი ნამდვილი საბჭოთა მეცნიერის საუკეთესო განსახიერებაა. იგი ვვაოცებს თავისი უნარით ინტენსიური მეცნიერული მოღვაწეობა შეუხამოს ფართო მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნიკო მუსხელიშვილი დიდ სახელმწიფოებრივ საზოგადოებას ეწევა. იგი იყო საბჭოთა VIII კრების დელეგატი, რომელზეც აირჩიეს სსრ კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის შემმუშავებელი სარედაქციო კომისიის წევრად, იგი სკკპ XX-XXIV ყრილობების დელეგატი, არის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ყველა მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დიდმნიშვნელოვან, პასუხსაგებ სამუშაოს ასრულებს ნიკო მუსხელიშვილი როგორც ლენინური პრემიების კომიტეტისა და უმაღლესი საატესტაციო კომისიის წევრი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა თავრობამ დიდად დააფასეს ნ. ი. მუსხელიშვილის მეცნიერული და მეცნიერულ-ორგანიზატორული მოღვაწეობა, მისი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნიკო მუსხელიშვილს საბჭოთა მეცნიერებიდან ერთ-ერთ პირველს მიეკუთვნა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. იგი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის მრავალი ორდენითა და მედლით, მათ შორის ხუთი ლენინის ორდენითა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. გარდა ამისა, ნას მინიჭებული აქვს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო ჯილდო — კირილესა და მეთოდეს პირველი ხარისხის ორდენი, აგრეთვე სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი.

თავის 80 წლისთავს, თქვა დასასრულ აკადემიკოსმა მ. ლავრენტიევმა, ნიკო მუსხელიშვილი მხნედ და ენერგიულად შეეგება, იგი უწინდელებურად აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა კავშირის სამეცნიერო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მაშ ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი დიდი საშობლოს საკეთილდღეოდ!

იუბილარს ვუმსურვებთ მიესალმნენ, დღეგრძელობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვეს, მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ქართული და მთელი საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მადლობა გადაუხადეს მეცნიერებმა, კოლეგებმა, ნ. ი. მუსხელიშვილის მეგობრებმა და მოწაფეებმა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს შეკრებილებმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის გამოსვლა. იგი გულითადად მიესალმა ნ. ი. მუსხელიშვილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით, აღნიშნა მისი უდიდესი დამსახურება დრეკადობის მათემატიკური თეორიისა და მექანიკაში მისი გამოყენების განვითარებაში, დიდი წვლილი ფუნდამენტური ჭართული მეცნიერების აყვავებაში, რომელიც თანამედროვე მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებით აწარმოებს გამოკვლევებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა და თანამშრომლთა მთელი კოლექტივის სახელით, აკადემიისა, რომელშაც დიდი და სახელოვანი გზა განვლო ნ. ი. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, იუბილარს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. რ. დვალი.

საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით, სადაც იუბილარი მრავალი წლის მანძილზე ზრდიდა მათემატიკოსთა ახალგაზრდა კადრებს, გამოჩენილ მეცნიერს გულთბილად მიესალმა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ი. ნ. მეძუკმ.

ტრიბუნაზეა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ი. ა. მიტროპოლსკი. მან მიულოცა ნ. ი. მუსხელიშვილს უკრაინის მეცნიერთა სახელით.

ბელორუსის მეცნიერთა სახელით გამოვიდა ბელორუსის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ა. ბორისევიჩი.

სიტყვა მიეცა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. ს. სადიკოვს. მან წაიკითხა უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის მისალმება.

ყაზახეთის მეცნიერთა სახელით იუბილარს მიულოცა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ზ. ა. ალტაიბაევა.

აზერბაიჯანის მეცნიერთა სახელით ულოცავს გულთბილად მიესალმა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. მ. აბდულაევი.

მოლდავეთის მეცნიერთა სახელით იუბილარს მიესალმა მოლდავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბ. ა. ანდრუნაკიევიჩი.

ყირგიზეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობის სახელით იუბილარს მიესალმა ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბ. ა. ალტაევი.

ყირგიზეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობის სახელით იუბილარს მიესალმა ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრ-კორესპონდენტი ბ. ბ. ბეგეკოვი.

ტრანსკავკასიის მეცნიერებათა ასოციაციის სახელით ულოცავს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ბ. ნ. ბეგელდიევი.

ტრანსბაიკალეთის მეცნიერებათა ფილიალის სახელით ულოცავს ფილიალის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბ. ბ. ბაბინი.

ტრანსბაიკალეთის ფილიალის ბიბლიოთეკა ულოცავს ბიბლიოთეკის ფონდებს ბ. ბ. ბაბინი.

ბ. ბ. ბაბინ. ბ. ბ. ბ

დღეს ბორჯომში

საქართველო დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის ემზადება. ქართველ კომპოზიტორს, დიდებული „აბესალომისა“ და „დაისის“ შემქმნელს ზაქარია ფალიაშვილს 100 წელი უსრულდება. ახლა ჩვენი სამშობლოს მრავალ კუთხეში ქართული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ბევრი შეხვედრა იმართება. დღეს ბორჯომში, ქალაქში, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპოზიტორის სახელი, გაიმართება ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი და გაიხსნება კომპოზიტორის ძეგლი მისივე სახელობის ბაღში.

ბორჯომის ორჯონიკიძის სახელობის ბაღის საკონცერტო დარბაზში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „დაისი“.

ბორჯომი. პროფსაბჭოს ლიკანის სანატორიუმი.

ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

ჩხოროწყუ

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ბ. მილიუტინი

● ქართული ფუტკრის სტუმრები მუხურში ● პირველი ქართველი მფრინავის საფლავთან ● კომკავშირის ისტორიის ფურცლები ● კულტსასლის აგიტმსატვრული ბრიგადა.

□ **ბუნებას** უხვად დაუბერტყავს ქალთა მუხურში. მაგრამ სოფელს სახელი გაუთქვა და მსოფლიო ასპარეზზე გაიყვანა შესანიშნავმა ქართულმა, გრძელსხოლთუმა რუხმა ფუტკარმა, რომლის სახელმწიფო ჯიშსაშენი აქ საკმაო ხანია არსებობს. სად არ მიდის დალოცვილი ქართული ფუტკარი, რომლის ღალიანობა საქვეყნოდ განთქმულია. მუხურში გამოყვანილმა ფუტკარმა რა ხანია გზა გიკვლია ევროპის სახელმწიფოებში, ავსტრალიაში, ამერიკის კონტინენტზე, მარტინიკის კუნძულებზე.

რამდენიმე დღის წინათ მოსკოვის მეფუტკრეობის 23-ე საერთაშორისო კონგრესის მონაწილეთა ერთი ჯგუფი მუხურს ეწვია. სტუმრები აღფრთოვანებული დარჩნენ ჯიშსაშენის საქმიანობით. გაისმოდა აღტაცებული შეძახილები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუმინულ, ჩეხურ და სლოვაკურ ენებზე.

ქართულმა ფუტკარმა მესამედ დაიმსახურა ოქროს medal.

□ **აქ დაიბადა** და აიდგა ფეხი პირველმა ქართველმა მფრინავმა ბესარიონ ქებურიამ. ადრე, ჭაბუკობის წლებში აღეძრა ფრენის სურვილი ჩხოროწყუელ კაცს. ფრანგი ავიატორი ლუი ბლერიო გოცებული იყო, როგორც თვითონ ამბობდა — „ძველებური ჯადოქრის“ ოსტატობით, შეუპოვრობითა და სიყვარულით სრულიად ახალი, ჯერაც გაურკვეველი საქმისადმი.

...დაბინ კოხტა ბაღში განისვენებს ბესარიონ ქებურია. მისი საქმისა და სახელის უკვდავსაყოფად მის საფლავზე დადგმულია ლამაზად გამოკვეთილი ბიუსტი.

□ **რაიონის** კომკავშირული ორგანიზაციის ისტორიის შესასწავლად შეიქმნა კომკავშირის ვეტერანთა საბჭო. იგი ადგენს ძველ კომკავშირელთა სიას რაიონის ყველა სოფლის მიხედვით, აგროვებს მოგონებებს, იშვიათ ფოტოსურათებს. ძველ კომკავშირელთა საქმიანობის აღნუსხვასთან ერთად გაშუქდება დღევანდელი თაობის კომკავშირელთა შრომის მაგალითებიც. მოეწყო კომკავშირელთა ექსკურსია ბ. ძნელაძის სოფელში.

□ **სულ უფრო** მეტ მაყურებელს აზიდავს რაიონის კულტურის სახლის აგიტმსატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი ნუნუ გურჩიანი), რომელშიც 12 ახალგაზრდაა გაერთიანებული. ბრიგადის რეპერტუარშია მოკლე სცენები, სკეტჩები, მინიატიურები, სცენისმოყვარულნი — ზ. ჩალიგავა, გ. მჭედლიანი, თ. ხარჩილავა, გ. ხორავა და სხვები ხშირად ეწვევიან ხოლმე მეჩაიეებს ბრიგადებში, ფერმებს და მართავენ კონცერტებს.

სურათზე: ჩხოროწყუს ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ბ. აუფხაზავასი.

მუსიკალური აფიშა

თბილისელ მუსიკისმოყვარულებს სასიამოვნო კვირა ელით. საგასტროლოდ ჩამოვიდა და საქართველოს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში 26-დან 29 სექტემბრამდე, ჩათვლით, კონცერტების ციკლს გამართავს თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, ვიოლონჩელისტი მსტისლავ როსტროპოვიჩი. ერთ-ერთი ციკლი კონცერტებისა იქნება ფორტეპიანოს თანხლებით, რომელსაც შეასრულებს ლ. დედიუხინი. პროგრამაშია ბეთჰოვენის, შოპენის, დებიუსის, ჰენდელის, შუბერტის, შტრაუსის, ბრამსის, ბრიტენის ნაწარმოებები.

მ. როსტროპოვიჩი იმავე საკონცერტო დარბაზში გამოვა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი გ. გოციერიძე). პროგრამაში იქნება მოცარტის, შუმანის, ფალიაშვილის, პროკოფიევის, ხრენიკოვის, ხაჩატურიანის და სხვათა ნაწარმოებები.

27 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სახაფხულო დარბაზში თბილისელებს შეეძლოთ მოესმინონ მომღერალ კლემენტინა შერმელს. ფორტეპიანოს ბარტიას შეასრულებს რსფს რუსეთის დამსახურებული არტისტი ს. სტუჩევსკი.

მსჯელობენ ფიზიოლოგები

საერთაშორისო ფორუმი მიუნხენში

ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო გაერთიანება იმ მეცნიერულ საზოგადოებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც საერთაშორისო კონგრესის გამართვის ყველაზე ხანგრძლივი ტრადიცია აქვთ. ფიზიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონგრესი 1889 წელს მოეწყო და მას შემდეგ რეგულარულად იმართება სამ წელიწადში ერთხელ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ საომარი ინტერვალებს, რომლებიც გამოწვეული იყო მსოფლიო ომებით. დასაწყისიდანვე განსაზღვული იყო, რომ ამ კონგრესების მიზანი იქნებოდა ფიზიოლოგიური ასალი მნიშვნელოვანი მეცნიერული და პედაგოგიური იდეების პოპულარიზაცია, ასალი პერსპექტიული კვლევითი მიმართულებების სტიმულირება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფიზიოლოგთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე ეს გეზი ძირითადად ყოველთვის ტარდებოდა.

უკანასკნელი, რიგით ოცდამეცხუთე, ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი მოეწყო მიმდინარე წლის ზაფხულში მიუნხენში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მსოფლიოს ფიზიოლოგთა შემოქმედებით ცხოვრებაში ეს შეკრება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. თანამედროვე ფიზიოლოგიას მრავალრიცხოვან დარგებად დაყოფა ახასიათებს. ამიტომ ფიზიოლოგიური მეცნიერების მოღვაწეთა სურათის წარმოდგენა მეტად რთული. ამ სიძნელეს კონგრესის ორგანიზატორებმა კარგად გაართვეს თავი და მრავალი სიმპოზიუმისა და სასეკციო სხდომის სახით შესაძლებელი გახადეს თანამედროვეობის ყველაზე აქტუალური და ძირითადი მიმართულებების განხილვა. წარმომადგენლობითი თვალსაზრისითაც კონგრესი გრანდიოზული ღონისძიება იყო: მონაწილეთა რიცხვი სამი ათასს აჭარბებდა, წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ქვეყანა, სადაც კი ფიზიოლოგიური კვლევა მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ თანამედროვე ფიზიოლოგიური მეცნიერების სახელგანთქმული წარმომადგენლები. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ვლადიმერ ჩერნიგოვსკი, პლატონ კოსტიუკი (სსრკ), ირჟი კონორსკი (პოლონეთი), კაღმან ლიმაკი (უნგრეთი), ალან ჰოჯკინი, ბერნარდ კაცი (ინგლისი), ჯონ ეკლსი, მაიკლ ფუორტესი, ჩარი გრუნდფესტი (აშშ), ჰერბერტ ჯასპერი (კანადა), ჯუზეპე მორუცი (იტალია), ალფრედ ფესარი, პოლ დელი (საფრანგეთი), გენიჩი კატო (იაპონია) და სხვები.

საბჭოთა კავშირიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა ორმოცდაათამდე მეცნიერი. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ სახელგანთქმულ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, როგორიც არიან აკადემიკოსი ვ. ჩერნიგოვსკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ლ. ვორონინი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ე. ასრატიანი, ბ. კოტიუგი, ნ. ბეხტერევა და სხვები, ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საბჭოთა ფიზიოლოგიის ახალგაზრდა თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები, რომლებსაც უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანთ მეცნიერების განვითარებაში. საქართველოდან საბჭოთა დელეგაციაში შედიოდნენ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები პროფესორები ა. ბაკურაძე, დ. გელეგანიშვილი, პროფესორი ნ. ძიძიგური, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ჯავრიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. საბჭოთა მეცნიერების უმეტესობა საკუთარი შრომებით წარსდგა კონგრესზე და აქტიურ მონაწილეობას გაიღებდა მრავალი მეცნიერული საკითხის განხილვისას გამართულ დისკუსიებში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მეცნიერების მონაცემებმა კონგრესის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასება დაისახურა.

კონგრესი ძირითადად მიმდინარეობდა ერთდროულად მრავალი თემატიკური სასექციო სხდომების სახით, რომლებზეც მონაწილენი მოკლედ მოახსენებდნენ კონკრეტული კვლევის შედეგებს. გარდა ამისა, ეწყობოდა ცალკეული აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმები. სიმპოზიუმებზე ხდებოდა რამდენიმე წარმოდგენილი მოხსენების ფართო განხილვა. მრავალ საინტერესო სიმპოზიუმთა შორის განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჰერბერტ ჯასპერის (კანადა) ხელმძღვანელობით ჩატარებული ხსდომა, რომელიც მიეძღვნა ადამიანისა და პრიმატების თავის ტვინში ნეირონული აქტივობის საკითხებს. მოხსენებაში წარმოდგენილი მასალები ნათელს ხდიდა, თუ თავის ტვინის ნერვულ უჯრედთა მოქმედების როგორი ორგანიზაცია უდევს საფუძვლად უმაღლეს ცხოველებში მოძრაობისა და მგრძნობელობის აქტებს.

და, ბოლოს, კონგრესის ორგანიზაციის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან სპეციალურად მიწვეული მეცნიერები თანამედროვე ფიზიოლოგიის საკვანძო პრობლემებზე კითხულობდნენ ვრცელ ლექციებს, რომლებშიც აისახებოდა ამ პრობლემების კვლევის დარგში უკანასკნელ მიღწევათა დონე.

მაგალითად, მ. ფუორტესის („აშშ) ლექცია მიეძღვნა ნერვულ უჯრედებში იმპულსების წარმოშობისა და გავრცელების პრობლემას. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გასარკვევად, თუ როგორ ხდება ნერვულ სისტემაში ინფორმაციის კოდირება და გადაცემა.

3. დელმა (საფრანგეთი) თავის ლექციაში ვრცელდ წარმოადგინა უახლესი მონაცემები ძილის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების შესახებ.

კონგრესის ორგკომიტეტმა მე-მიწვია ერთ-ერთი ასეთი ლექციის წასაკითხავად თემაზე: „ეპილეფსიის უჯრედშიდა გამოკვლევა“. ლექციაზე წარმოდგენილი იყო მონაცემები იმ ფიზიოლოგიური კვლევისა, რომელსაც ჩვენ ვეწეოდით მრავალი წლის განმავლობაში მივრეკილებრივ ტვინის ცალკეული უჯრედების დონეზე ეპილეფსიის გამოყენებით თავის ტვინის ცალკეული უჯრედების დონეზე ეპილეფსიის გასარკვევად. მოხსენებული იყო ის ძირითადი შეხედულებები, რომლებიც ჩვენ გამოვიმუშავეთ ეპილეფსიის აღმოცენების, განვითარებისა და შეწყვეტის ნეირფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ. ჩემთვის პირადად მეტად სასიამოვნო იყო ის ინტერესი, რომელიც ლექციამ გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნის წამყვან სპეციალისტთა შორის. მათ მაღალი შეფასება მისცეს მოხსენებასა შინ მოყვანილ მონაცემებს, რაც ჩვენი კოლექტივის კვლევითი გეზის სისწორისა და მაღალი დონის მაჩვენებელია.

ჯონგრესის მსვლელობაში, ოფიციალური სხდომებისა გარდა, არანაკლებ ინტერესს იწვევდა მეცნიერთა არაოფიციალური შეხვედრები და დისკუსიები. რისთვისაც აგრეთვე მშვენიერი პირობები იყო შექმნილი. ასეთი შეხვედრები საზოგადოდ მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერთა შორის კონტაქტების გაღრმავებისა და ახალი პერსპექტიული კვლევითი გეგმების სტიმულირების თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონგრესზე ერთხელ კიდევ დადასტურდა საბჭოური ფიზიოლოგიის მაღალი მეცნიერული დონე. ამასთანავე ნათლად გამოვლინდა თანამედროვე ფიზიოლოგიის მიზანსწრაფვა გამოკვლეულ იქნას ურთულესი ინტეგრალური ბიოლოგიური მოვლენების ნატეფი მექანიზმები ცალკეული უჯრედებისა და მათი შემადგენელი ელემენტების დონეზე. გარდა ამისა, სავსებით ცხადად გამომჟღავნდა ის უდიდესი როლი, რომელიც დღეს ფიზიოლოგიის სხვა მრავალ დარგთა შორის ენიჭება ნეიროფიზიოლოგიას. ეს ჩანდა როგორც სხდომათა იმ დიდი რაოდენობიდან, რომლებიც ნეიროფიზიოლოგიურ პრობლემატიკას დაეთმო, ისე აქტიურ მონაწილეთა დიდი რიცხვიდან, რომლებიც ამ სხდომებს ესწრებოდნენ. და, ბოლოს, კონგრესმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღესდღეობით ფიზიოლოგიის განვითარებისათვის მეცნიერების მოსაზღვრე დარგების მიღწევების გამოყენებას. მრავალი აქტუალური პრობლემა ფიზიოლოგიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ თანამედროვე ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა და მეცნიერების სხვა დარგების მეთოდების დახმარებით.

დასასრულ კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონგრესის მაღალ მეცნიერულ ორგანიზაციასთან ერთად საინტერესო და ფართო კულტურული პროგრამაც განხორციელდა. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ დასავლეთ გერმანიის მთელ რიგ ღირსშესანიშნაობებს.

ვ. ოკუჯავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

• • •

სურათზე: ჟ. მიუნპენის ერთ-ერთი მოედანი (მარიენპლაცი).

ჩვენი ინტერვიუ

საკავშირო ცხენოსნური

— ქართველ ხალხს ოდითგანვე უყვარდა სპორტი და იგი დიდად განვითარებული იყო საქართველოში, — განაცხადა „კომშენისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ დ. ნიკურაძემ. სპორტის მრავალი სახეობიდან ქართველებს მეტად საინტერესოდ მიაჩნდათ ცხენოსნური სპორტი. ამ დარგში გაწვრთნილი ქართველი მეომრები გმირულად იბრძოდნენ შემოსეული მტრების წინააღმდეგ, ხოლო მშვიდობიანობის პერიოდში იგი დიდ, მასობრივ სანახაობას წარმოადგენდა.

გავრცელებული იყო სასპორტო რაინდული თამაშობა. ასპარეზობისათვის ჭაბუკებს საგულდაგულოდ წვრთნიდნენ. ისტორიული დოკუმენტები მოგვითხრობენ, რომ საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა ცხენოსნობას, ცხენოსანთა ფიზიკურ მომზადებას. თეიმურაზ და არჩილ მეფეს ლეკსად აქვთ აღწერილი ცხენზე თამაშობის წესები, რომლითაც ჩვენი ხალხი დღესაც სარგებლობს. ქართველმა მოჯირითეებმა იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, კანადის, ამერიკის, არგენტინის, ბრაზილიისა და მექსიკის ცირკ-იპოდრომზე არაერთხელ დაიმსახურეს უდიდესი მოწონება.

ჯერ კიდევ 1903 წელს ო�აგან შედგენილი ცხენოსანთა გაწვრთნილი გუნდი ბათუმიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ქება დაიმსახურა ქართველ ცხენოსანთა ჯირითმა, თამაშმა ლონდონში ინგლისელები მოხიბლა, პარიზელებმა კი ქართველი ცხენოსნები ნამდვილ მეომრებს მიამსგავსეს. ცნობილია ის ფაქტიც, რომ თამარ მეფეს მხედართა სასპარეზოდ საგანგებო იპოდრომიც ჰქონდა მოწყობილი.

და დღეს, ახლანდელი თბილისის ერთ-ერთ უბანს, ძველი ასპარეზობის ნიშნად „საბურთალო“ ჰქვია. ამ უბანში 1959 წელს საეს-ესპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი იპოდრომი, რომელსაც დიდძალი მაყურებელი და სპორტის მოყვარულები ჰყავს. აქ ყოველწლიურად გამოცდას გადის საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების 200-300 წმინდა სისხლის ცხენი. ეწყობა საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საცხენოსნო ღონისძიებანი.

საამაყო და სასიხარულოა, რომ თბილისის იპოდრომს წილად ხვდა ბედნიერება: 25-26 სექტემბერს, 2 და 3 ოქტომბერს მოეწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ცხენოსანშენების XIV სრულიად საკავშირო ცხენოსნური შეჯიბრება. თბილისის იპოდრომს ამ დღეებში ეწვია სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის ცხენოსანთა ნაკრები გუნდები (ჩამოსულია 400-მდე სპორტსმენი-ცხენოსანი და ჩამოყვანილია 300-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის მაღალი კლასის ცხენები).

ამ საინტერესო მასობრივ შეჯიბრებაში მაყურებელი ნახავს საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ეროვნულ თამაშებს. მათ შორის დემონსტრირებული იქნება ქართული ეროვნული თამაშები: ისინდი, ცხენბერი, ლოდი მთიდან დაშვებით; შუა აზიის რესპუბლიკებში და უზბეკეთში გავრცელებული თამაშები: „ციზ-კუუ“ (დაეწია ქალიშვილს), „ხაის“ (ცხენებზე ჭიდაობა), „კოკპარ“ (გაჭენებული ცხენებით თხის წართმევა); აზერბაიჯანული „ჩოგანი“, „პაპახოიუნ“ (ფაფახის წართმევა), სომხური „ნიზაკი-ნეტუმ“ (გაჭენებული ცხენთ მხედრის მიერ შუბოთა და ხელჯუბბარით სამიზნეების დაზიანება) და სხვა მრავალი თამაში.

შეჯიბრების დღეებში მოეწყობა 20 ღონე. საქართველოს ცხენოსნური ნაკრები გუნდის შემადგენლობაში არიან: ცხაკაია, ზუგდიდის, ჩოხატაურის, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, მარნეულის საუკეთესო ცხენოსან-სპორტსმენები. იპოდრომზე გაიმართება ცხენოსანთა აღლუმი.

ფეხბურთი

პუტსაიდერთა მატჩი

ბუენოს ლენინგრადში ჩამპიონატის აუტსაიდერებს — ადგილობრივ „ზენიტსა“ და დონის როსტოვის სკა-ს მორიგი ტურის მატჩი ჰქონდათ. ასპარეზობა დამთავრდა „ზენიტის“ გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

კიეველთა გამარჯვება

კიევში დამთავრდა მცირე საერთაშორისო ტურნირი კიევის „დინამოს“, სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების, ბულგარეთის ქალაქ ვარნის „სპარტაკის“ და უნგრეთის „დიოშდიერის“ მონაწილეობით.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დინამოელები და ოლიმპიელები, რომლებმაც ადრე შესაბამისად დაამარცხეს „დიოშდიერი“ — 2:0, და „სპარტაკი“ — 1:0. ასპარეზობა დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 3:1. ორი ბურთი გაიტანა ბიშოვიცმა, ერთი ბოგოვიკმა, საპასუხო ბურთის ავტორიც კიევის დინამოელი იყო — ოლიმპიური ნაკრების წევრი ვერმეველი.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ბრონშტეინი — უკომპრომისოდ

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). უკანასკნელი წლების შეჯიბრებში დ. ბრონშტეინი პარტიების უმრავლესობას ყაიმით ამთავრებდა, როდესაც მას ეკითხებოდნენ, რატომ იქცეოდა ასე, მოსკოველი გროსმაისტერი შემოქმედებითს დაღლას უჩიოდა. ახლა ვითარება შეიცვალა. დ. ბრონშტეინი აშკარად გაახალისა საბჭოთა კავშირის თასის მოპოვებამ. ექვსი ტურის შემდეგ მის სატურნირო ცხრილში არც ერთი ყაიმი არ არის. ბრონშტეინი „უკანასკნელ პაიკამდე“ თამაშობს, იგებს ან აგებს.

მეექვსე ტურის წინ შეჯიბრებას ოთხი ლიდერი ჰყავდა: მ. ტალი, ლ. შტეინი, ი. პლატონოვი და ვ. სავონი. მათგან გამარჯვება მეექვსე ტურში მხოლოდ რიგელმა გროსმაისტერმა მოიპოვა. ნ. კროგიუსი ფრიად საიმედო, მტკიცე სტილით გამოირჩევა, მაგრამ ამჯერად ვერაფერს გახდა მ. ტალის ცეცხლოვანი იერიშების წინააღმდეგ. ეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ი ს ზედიზედ მესამე გამარჯვებაა. იგი პირველ ადგილზეა 4,5 ქულით 6 შესაძლებლიდან.

ძნელი დასასახელებელია ტურნირი, სადაც ლ. პოლუგაევსკის სტარტზე სამი დამარცხება განეცადოს. ლენინგრადში მას მძიმე დღეები დაუდგა. დ. ბრონშტეინთან მეექვსე ტურში წაგების შემდეგ ლ. პოლუგაევსკის მხოლოდ ორი ქულა აქვს და ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა. ტურნირის დაწყების წინ ვ. კორჩნოის განცხადა: „პირველ ადგილზე გამოვა მ. ტალი ან ლ. პოლუგაევსკი“. რიგელი გროსმაისტერი ჯერჯერობით 100 პროცენტით „ამართლებს“ ვ. კორჩნოის პროგნოზს, ხოლო ლ. პოლუგაევსკი ამდენივე პროცენტით ღალატობს.

კვლავ ბუნდოვანია რ. ჯინჯიხაშვილის სატურნირო მდგომარეობა. ადრინდელ ორ გადადებულ პარტიას ნ. კროგიუსთან და ე. გელერთან (ეს პარტია საერთოდ არ გათამაშებულა) კიდევ ერთი დაემატა — ლ. შამკოვიჩთან. ლ. შამკოვიჩს ჯერჯერობით მხოლოდ ნახევარი ქულა აქვს და სულ უკანასკნელ, 22-ე ადგილზეა.

ყაიმზე შეთანხმდნენ ე. გელერ-ა. კარპოვი და რ. ვაჰანიან-ა. კაპენგუტი. ახალგაზრდა ვაჰანიანი, ეპირველეს ყოვლისა, თავდაცვაზე ზრუნავს. მას 5 ყაიმი და 1 მოგება (ა. კარპოვთან) აქვს.

დანარჩენი პარტიები გადიდო.

მეშვიდე ტურში მ. ტალი (შავებით) ეთამაშება მ. ცვიტლინს. რ. ჯინჯიხაშვილი (შავებით) ა. კარპოვს ხვდება.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ბაკუმბეულია ტაშკენტის „პატარკორისა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ 14 სექტემბრის მატჩის შედეგი (ეს შეხვედრა მოიგეს ბაქოელებმა — 3:2), რომელიც ჯაპპორტსტა ტაშკენტის გუნდის ხელმძღვანელობამ. მატჩი განმორებით შედგება.

შაპანმონის ფიზბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ასპარეზობა ესპანეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის ჯაიმართება 27 ოქტომბერს სევილიაში.

მესამე ოქროს medali

პერუს დედაქალაქ ლიმაში ძალოსანთა მსოფლიო ფრრუმზე დონეცელმა 24 წლის მუშამ ხორის პაელოვმა მესამე ოქროს medali მოუტანა საბჭოთა გუნდს. ხაშელო წონის ათლეტთა ასპარეზობაში მან სამგზის ჯამში 495 კილოგრამი დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ფინელი კარლო ანგასნიემი — 490 კილოგრამი. მესამე პრიზი მოიპოვა უნგრელმა დიერდ ხორვატმა — 480 კილოგრამი.

ᲒᲐᲖᲐᲠᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ფინიში აქვს საკავშირო პირველობას რეგბიში, უკანასკნელის-წინა ტურში გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის სპორტსმენები შეხვდნენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს და გაიმარჯვეს 14:6. ამ მოგებით აკადემიის რეგბისტებმა უკვე გაინაღდეს პირველი ადგილი.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: თბილისის „ლოკომოტივი“-თბილისის „დინამო“ — 9:8, კიევის „დინამო“-მოსკოვის „სპარტაკი“ — 14:8, მოსკოვის „ფილი“-ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ — 12:12.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

იტალიის ქალაქ გორიციაში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველ შესარჩევ მატჩში ოოლად დაამარცხა შვეიცის გუნდი, ანგარიშით 3:0 (15:1, 15:5, 15:1).

ქალებთან ერთად ასპარეზობა დაიწყეს ვაუთა გუნდებმაც.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის, 10, III სართული, საააქტო დარბაზი)

5 ოქტომბერს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თენგიზ ვახტანგის-ძე შანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ფილტვების ბოჭკოვანი სტრუქტურების ზოგიერთი მიკრომორფოლოგიური ცვლილებები ადამიანის ორგანიზმის დაბერების პროცესში“.**

5 ოქტომბერს, დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნინო ალექსანდრეს ასული სვანელი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სიტყვა-მამოძრავებელი რეაქციების შესწავლა შიზოფრენიის პარანოიდული ფორმის დროს დინამიკაში“.**

7 ოქტომბერს, დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი პროკოფის-ძე ჭვანია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„საშვილოსნოს ბიოელექტრული აქტივობა და ნეირომორფოლოგია მისი სხვადასხვა ფუნქციონალური მდგომარეობის დროს“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲙᲐ

25 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.10—ფილმი ბალეტი „იკარუსი“, 11.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15— საგალეგეზიო ფილმი „წითელი მთების მფლობელი“, 13.00 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 14.40 — საგალეგეზიო დადგმა „ბალადა სირანზე“, 15.50 — საგალეგეზიო მუსიკალური ფილმი „ჩვენი არტური“, 16.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინოპროგრამა, 18.10 — ბავშვებისათვის „რატომ, საიდან, რისთვის?!“, 18.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია, დოკუმენტური ფილმი „გამოუცხადებელი ომი“ (ქართულ ენაზე), 19.35 — გადაცემა ციკლიდან „ხელოვნების საგანძურიდან“, 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მეგობრობის მუსიკალური ავტოგრაფები“, 21.20 — ახალგაზრდობისათვის „სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — საგალეგეზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ალბატროსის“ უკანასკნელი რეისი“ IV სერია (პრემიერა).

მეორე პროგრამით

18.15 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ლიტერატურა— სავალდებულო კლასგარეშე კითხვის გაკვეთილი, 19.15— სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა— სწავლების ტექნიკური საშუალებები ინგლისურ ენაში, 20.15 —სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია პოლიტეკონომიაში, 21.20 — საგალეგეზიო ფილმი „შემოდგომის ნოველა“, 22.10 — მხატვრული ფილმი „დიდოსტატის მარჯვენა“ (I სერია).

26 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა ლვოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — საგალეგეზიო კალენდარი „დღეს მანქანათმშენებლების დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ბავშვებისათვის: მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 13.10 — მუშაობა რომ უფრო საინტერესო იყოს“, 13.40 — კინონარკვევი, 13.50 — „კინოადაფაზე“, 14.20 — კინონარკვევი, 14.30 — „ერმიტაჟის საგანძური“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 15.00 — მხატვრული ფილმი „წყურვილი წყაროსთან“, 16.20 — ჟურნალი, 17.00— კინონარკვევი, 17.20 — „დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ“, 18.00 საესტრადო გასართობი პროგრამა, 18.35— „საბჭოთა საქართველოს მარკით“, 19.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.15 „დიდი მატჩის წინ“ (სტუდიაში დიდოსტატები საღო ფლორი და ლილიენტალი, 19.35—ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები“— მერი დავითაშვილი. 20.20—ფერადი ტელევიზია „კინომოზაურობის კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.20 — საქართველოს ფერადი